



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „ლელო“ - თბ „აკადემია“		
გუნდი	თბ „აკადემია“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	15/05/2022	მატჩის ადგილი	თბილისი, ლელო არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

სადისციპლინო კომისიის სადომა გაიმართა 19/05/2022 სრკ-ს ოფისში (თბილისი, ქ. ამირეჯიბის #6)

სადისციპლინო კომისია :

თავმჯდომარე - მირიან თავზარაშვილი

წევრები : ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე.

სხდომას ესწრებოდა სადისციპლინო სამსახურის მიერ მოწვეული, სრკ-ს გამგეობის წევრი ლაშა თავართქილაძე

სხდომაზე დამსწრე პირები:

1. მატჩის დღეს „ლელო არენაზე“ მყოფი უსაფრთხოების თანამშრომლები:
ვასილ მამალაძე და გიორგი ბედოშვილი.
2. მატჩის კიდის მსაჯი - სოსო ჯაფარიძე.

კლუბ თბ „აკადემია“-ს წარმომადგენლები:

- ვახტანგ მჭედლიძე (კლუბ თბ „აკადემია“-ს პრეზიდენტი)
- მიხეილ კობახიძე (კლუბ თბ „აკადემია“-ს სპორტული დირექტორი)
- გიორგი ქოპილაშვილი (კლუბ თბ „აკადემია“-ს მენეჯერი)



სადისციპლინო კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია/მასალები :

1. მატჩის მე-4 მსაჯის ნიკოლოზ ლაღაძის საითინგი 16/05/2022;
2. მატჩის მეთვალყურის თამარ მანაგაძის საითინგი 15/05/2022;
3. მატჩის მსაჯის გიგა მშვენიერაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის ვიდეორეფერის თორნიკე გვირგვინილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
5. მატჩის კიდის მსაჯების სოსო ჯაფარიძის და გელა ლემონჯავას სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
6. მატჩის მე-4 მსაჯის ნიკოლოზ ლაღაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
7. მატჩის დღეს „ლელო არენაზე“ მყოფი უსაფრთხოების თანამშრომლის, ვასილ მამალაძის, სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

მხარეთა მოსმენის შემდეგ, სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა მომხდარი ინციდენტის შესახებ, შეაფასა სხდომაზე წარმოდგენილი ინციდენტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მატჩის ოფიციალურ პირთა გამოკითხვის მასალები, დაადგინა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დარღვევა თბ „აკადემია“-ს წარმომადგენლების, ვახტანგ მჭედლიძის (კლუბ თბ „აკადემია“-ს პრეზიდენტი) და მიხეილ კობახიძის (კლუბ თბ „აკადემია“-ს სპორტული დირექტორი) მხრიდან, კერძოდ :

1. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 6 პუნქტი 3 - მატჩის ოფიციალურ პირთა ბრიგადის წევრების და მათი ზედამხედველის(მწვრთნელის) გარდა არავის არ აქვს უფლება მიმართოს მატჩის ოფიციალურ პირს თამაშისას, შესვენებისას და მატჩის შემდეგ, შევიდეს მათ გასახდელ ოთახში რაიმე თამაშთან დაკავშირებული საკითხის განსახილველად თუ თავად მატჩის ოფიციალური პირი არ დართავს ამის ნებას.
2. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია პუნქტი 5.5 საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;
3. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია პუნქტი 5.12 არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან საფესტივალო ასაკის სადისციპლინო კომისიის და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;
4. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია პუნქტი 5.13 არ გამოიყენოს უხეში ან შეურაცხმყოფელი ლექსიკა მატჩის ოფიციალურ პირების, მოთამაშეების, პიროვნებების, და/ან მყურებლის მიმართ;

და მიიღო შემდეგი



გადაწყვეტილება

1. თბ „აკადემია“-ს პრეზიდენტს, ვახტანგ მჭედლიძეს აევრძალოს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში თბ „აკადემია“-ს მატჩებზე, სტადიონზე დასწრება ნებისმიერ დონეზე. ხოლო კლუბი თბ „აკადემია“ დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით.
2. თბ „აკადემია“-ს სპორტულ დირექტორს, მიხეილ კობახიძეს აევრძალოს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში თბ „აკადემია“-ს მატჩებზე, სტადიონზე დასწრება ნებისმიერ დონეზე. ხოლო კლუბი თბ „აკადემია“ დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით.
3. კლუბ თბ „აკადემია“-ზე დაკისრებული ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 27 ივნისამდე.
4. კლუბის მიერ საჯარიმო თანხის განსაზღვრულ ვადაში არ გადახდის შემთხვევაში, თბ „აკადემია“-ს მიმართ ამოქმედდეს სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 14.4 პუნქტი.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	27/05/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.